პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 9 (13130) | ოთხშაბათი, 13 იანვარი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ნომერშია:

- ყველა ბავშვი — სწავლობდეს!
- დიდი ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის
- ჩვენი პლანეჯის ახალი ამბები
- საბჭოთა საქართველოს დღე

ბავშვების საყოველთაო სწავლება სახელმწიფოებრივი ამოცანაა

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია პირობები ხალხის კულტურის განუხრელი აღმავლობისათვის, ყველა მშრომელს გახსნილი აქვს ფართო გზა ცოდნის მისაღებად. სწორედ განათლების დარგში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული რევოლუციის მონაპოვარნი. ჩვენში შექმნილია განათლების ახალი, ნამდვილად დემოკრატიული სისტემა, რამაც მსოფლიო აღიარება ჰპოვა. 72 მილიონ საბჭოთა ადამიანს აქვს განათლება არასრული საშუალოდან უმაღლესამდე.

კომუნისტური მშენებლობის დიდი და რთული ამოცანების გადაჭრისათვის საჭიროა კიდევ უფრო ამაღლდეს მთელი ხალხის შეგნება და კულტურული დონე, მილიონობით ადამიანი ეუფლებოდეს სხვადასხვა დარგის ცოდნას, მეცნიერებას. „კომუნიზმზე გადასვლა, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — გულისხმობს კომუნისტურად შეგნებული და დიდად განათლებული ადამიანების აღზრდასა და მომზადებას, რომელთაც უნარი ექნებათ ეფეთდნენ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას. აქტიურ საქმიანობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში“.

კომუნისტურმა პარტიამ დასახა ამოცანა ახლო მომავალში განვახორციელოთ სკოლის ასაკის ყველა ბავშვის საკალდებულო საშუალო განათლება. ამ პრობლემის გადაჭრა განუყრელად დაკავშირებულია იმასთან, რომ უთუოდ და ყველგან განხორციელდეს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლება, რომელიც შემოღებულია ექვსი წლის წინათ სკოლის შესახებ კანონის შესაბამისად.

ჩვენი საზოგადოების ინტერესები მოითხოვს, რომ უყლებლივ ყველა ბავშვი დროზე იღებდეს განათლებას. რვაწლიანი სკოლა ცხოვრებისათვის, შრომისათვის მოზარდი თაობის მომზადების პირველი ეტაპია. ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკებსა და ოლქებში გაწეულია დიდი მუშაობა ბავშვთა საყოველთაო რვაწლიანი სწავლებას შესახებ კანონის სრული განხორციელებისათვის. ჩვენს ქვეყანაში განხსნილია შვიდი ათასზე მეტი ახალი რვაწლიანი სკოლა, გაიზარდა პირველიმერვე კლასების მოსწავლეთა რიცხვი.

მაგრამ მთელ რიგ ადგილებში, და უწინარეს ყოვლისა თურქმენეთში, უზბეკეთში, აზერბაიჯანში, ყირგიზეთში, ლიტვასა და ტაჯიკეთში, ბავშვთა ნაწილი დროზე როდი ამთავრებს რვაწლიან სკოლას. ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა ზოგიერთი მოსწავლე თავს ანებებს მეცადინეობას ცრუმორწმუნეთით შეპყრობილ მშობლთა მოთხოვნით. განსაკუთრებით ეს ეხება გოგონებს შუა აზიის რესპუბლიკებსა და აზერბაიჯანში.

საყოველთაო საყოველთაო სწავლების უზრუნველსაყოფად საჭიროა მტკიცე აღრიცხვა და მუდმივი კონტროლი კანონის შესრულებისადმი. მაგრამ არა მარტო სოფლად, არამედ ბევრ ქალაქშიც სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა ცუდად არის მოწყობილი. მაგალითად, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში, ადგილობრივი საბჭოების მონაცემებით ითვლებოდა, რომ თითქმის ყველა ბავშვი სწავლობს, მაგრამ შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ბევრი ბავშვი არ დადის სკოლაში. აღრიცხვის უყურადღებოდ მიტოვება აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ თითქმის ყველგან ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე ეკისრებათ მხოლოდ სკოლასა და მასწავლებლებს, მაშინ როცა ამ აღრიცხვას უნდა აწარმოებდნენ საბჭოთა ორგანოები ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით.

სწორად მოიქცნენ, მაგალითად, აზერბაიჯანში, სადაც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა განათლების სამინისტროსთან, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან და პროფკავშირებთან ერთად რამდენჯერმე შეამოწმა, თუ როგორ სრულდება კანონი საყოველთაო სწავლების შესახებ. ამის შედეგად კლასებში დაუბრუნეს 18 ათასზე მეტი ბავშვი.

დაიწყო სასწავლო წლის მეორე ნახევარი. ახლა მით უფრო შეუწყნარებელია „განთესვა“, არ უნდა შევურიგდეთ იმას, რომ თუნდაც ერთმა მოსწავლემ დატოვოს სკოლა, არ დაამთავროს სასწავლო წელი.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები და მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ვალდებულნი არიან ყოველი ღონისძიებით აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან საყოველთაო სწავლების განხორციელებას. უახლოეს დღეებში მეტად საჭიროა სავსებით გადაკვრეთ ის საკითხი, რომ მოეწყოს ბავშვების ტრანსპორტით მიყვანა სკოლებში იქ, სადაც ეს საჭიროა; მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები რეგულარულად გამოპყოფდნენ ამისათვის ტრანსპორტს. განა შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ბავშვები, განსაკუთრებით უმცროსი ასაკისა სუსხიანი ზამთრის დღეებში ფეხით მიდიოდნენ სკოლაში? ლატვის მიცუნის რვაწლიან სკოლაში, მაგალითად, გასულ წელს ამ მიზეზით თვითეულ პირველკლასელს გამოტოვებული აქვს საშუალოდ 150-ზე მეტი გაკვეთილი. აი რას სწერენ „პრავდის“ რედაქციას ლუგანსკის ოლქის სვატოვოს რაიონის სამი სკოლის მოსწავლეები: „დაბები, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, 25 კილომეტრით არის დაშორებული სკოლებს. სამეცადინოდ ყოველდღე მუშაობა მატარებლით დავდავართ. მაგრამ მისი განრიგი შედგენილია ისე, რომ სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე სამი საათით ადრე მივდივართ, ვსხედვართ ვაგზალში და ველოდებით, სანამ სკოლის კარი გაიღებოდეს. ბევრმა ბავშვმა ამის გამო უკვე დაანება თავი სწავლას...“

ლატვიაში კი კარგად იზრუნეს სოფლის მოსწავლეებისათვის. აქ ბუტაკეცილებზე დანიშნულია მოსწავლეთა შეკრების ადგილები, რომლებიც შორს ცხოვრობენ სკოლისაგან, ჩამოკიდებულია სპეციალური ნიშნები, რომლებიც ავალდებულებენ ტრანსპორტის თვითეულ მძღოლს გააჩეროს ტრანსპორტი, წაიყვანოს მოსწავლეები.

შუადღეს უურადღებას მოითხოვს სკოლებთან არსებული ინტერნატები. ბევრი მათგანი ცუდად არის მოწყობილი. მნიშვნელოვან სახსრებს, რასაც სახელმწიფო გამოყოფს ამ მიზნით, სრულად როდი ხარჯავენ. მართალია, არის ბევრი მაგალითი, როცა საზოგადოებრიობის, მშობლების, მასწავლებლების საერთო ღონისძიებებით ინტერნატებში შექმნილია მეცადინეობისა და დასვენების კარგი პირობები. საჭიროა, რომ ასე იყოს ყველგან. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა იზრუნონ ინტერნატების ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უფრო ხშირად სკოლას თავს ანებებენ მეექვსმერვე კლასების მოსწავლეები. სწორედ ამ კლასებში ორწლიანობის შედეგად, იმის შედეგად, რომ ბავშვების ნაწილი დროზე არ შედის სკოლაში, და სხვა მიზეზების გამო გვაყვანან ასაკგადასული მოსწავლეები. ამ მოსწავლეებს ეჭირდებათ პედაგოგთა კოლექტივების გაძლიერებული ყურადღება. მაგრამ სკოლების ზოგიერთი ხელმძღვანელი ცდილობს თავიდან მოიშოროს ასაკგადასულები, გადაჰყავს ისინი საღამოს სწავლებაზე. და აი შედეგი: ლუგანსკში, ბაქოში, აშხაბადში ბევრი მოზარდი, რომლებიც ამრიგად საღამოს სკოლებში აღმოჩნდნენ, არსად არ მუშაობს, ზოგიერთი კი თავს ანებებს მეცადინეობას.

საღამოს სკოლებში. იქ კი, სადაც საჭიროა, ასაკგადასული მოსწავლეებისათვის უნდა შეექმნათ სპეციალური სკოლები და კლასები, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა მოზარდმა დროზე მიიღოს რვაწლიანი განათლება.

სწავლების საქმეს დიდ ზიანს აყენებს ის, რომ სასწავლო წლის დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე იყენებენ მოსწავლეებს, განსაკუთრებით შუა აზიის რესპუბლიკებსა და აზერბაიჯანში, სადაც მათ ბამბას აკრეფინებენ. ეს არღვევს სკოლის მუშაობის ნორმალურ რიტმს, უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცოდნის დონეზე. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი პრაქტიკის აღმოფხვრას.

საყოველთაო სწავლების წარმატებით განხორციელების საწინდარია სკოლის, ოჯახის, საზოგადოებრიობის მჭიდრო კონტაქტი, მათი მოქმედების ერთიანობა. ამას დამაჯერებლად ადასტურებს მოსკოვის, ორენბურგის, ვოლგოგრადის, სვერდლოვსკისა და სხვა ოლქების გამოცდილება. საწარმოებსა და სახლმმართველობებში შექმნილი ოჯახისა და სკოლის ხელშემწყობი საბჭოები, ქუჩის კომიტეტები, დეპუტატთა საგუშაგოები წყვეტენ ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის ბევრ საკითხს და კარგად ზრუნავენ იმისათვის, რომ ყველა ბავშვი წარმატებით სწავლობდეს.

ბავშვების საყოველთაო სავალდებულო სწავლება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. საბჭოთა ქვეყანამ ახალგაზრდა თაობას ყველა პირობა შეუქმნა ცოდნის დაუფლებისათვის. განათლების მუშაკთა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ჩვენი საზოგადოებრიობის პირდაპირი მოვალეობაა იბრძოლონ იმისათვის, რომ სკოლის ასაკის უყლებლივ ყველა ბავშვი სწავლობდეს რვაწლიანი სკოლის სრულ დამთავრებამდე.

PRAVDA
12 იანვრის მოწინავე

გაზაფხული გვიხმობს

ირიგატორთა სიტყვა და საქმე

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მახარაძის სასისტემო სამმართველომ გასულ წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. გადაჭარბებით იქნა განაღდებული სარწყავი არხების გაწმენდის გეგმა. კოლმეურნეობების შრომითი მონაწილეობით შესრულებულია აგრეთვე ბიდროსაგუშაგოთა რემონტის, დამცველ სარეგულაციო ნაგებობათა მშენებლობის, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტის, წყალდიდობის საწინააღმდეგო ჯებირების მშენებლობის და სხვა ვეგმები.

ხიდისთავის, ჩოხატაურის სახელმწიფო სანერგის, ქვემო აკეთის, ჭანჭათის, დვაბზუს, გალმა დვაბზუს, ბაღდათის, ზვანის, მახარაძის და გურიანთის კოლმეურნეობათა შრომითი მონაწილეობით შესრულდა 42.051 კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, გაკეთდა გაბიონის ტიპის ჯებირი 2.512 კუბური მეტრი მოცულობისა და აიგო 410,9 კუბური მეტრი მოცულობის კაპიტალური კედელი მდინარეების სუფსის, გუბაზოულის, ნატანებისა და ბეჟეთის ნაპირების გასამაგრებლად.

გაიწმინდა დამშრობი არხები ჩოლობარგის, ქვიანის, ნატანების, მერიისა და ნაოლილევის სათეს ფართობებზე. სულ შესრულებულ იქნა 30 ათასი კუბური მეტრის მოცულობის მიწის სამუშაოები.

სარწყავი ქსელი საკმაოდ გამზადებულია. ჩვენ საპატიო წესლის შევიტანთ მომდინარე წელს უხვი მოსავლის მიღების ხაქმეში.

ტ. სიმონიდი,
წყალთა მეურნეობის მახარაძის სასისტემო სამმართველოს უფროსი.

აქედანვე ვემზადებით

ჩვენს კოლმეურნეებს სამინდის უხვი მოსავლის მიღების კარგი ტრადიცია აქვთ. გასულ წელს ჩვენმა მეშინდვრეებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს.

ხხვებს არც ჩვენი რგოლის წევრები ჩამორჩენენ. რგოლისათვის მოსავლად მიჩენილი იყო 27 ჰექტარი სამინდის ნათესი. თვითეულ ჰექტარზე 32 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ.

რგოლის წევრები აქედანვე ემზადებიან მომდინარე წელს სამინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის. მზად გვაქვს თესლი, ტექნიკა. მიწა მზრალად არის მოხნული.

ქ. ჩაჩუა,
სამტრედიის რაიონის დაბლა გომის კოლმეურნეობის მერგოლური.

სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტი. სურათზე: მოწინავე მექანიზატორი დ. ციცელაშვილი (მარცხნივ) და ინჟინერ-მექანიზატორი გ. ხომხიშვილი არემონტებენ კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1965 წლის 17 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას 1965 წლის 21 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტინიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე
თბილისი, 1965 წლის 12 იანვარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1965 წლის თებერვალში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების სახალხო საბჭოს აღმასკომმა, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა 1965 წლის თებერვალში ჩაატარონ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტინიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე
თბილისი, 1965 წლის 12 იანვარი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოში

იზრდება მილის ქარხნების სიმძლავრე

რვა მილიონზე მეტი ფოლადის მილი დამზადდა გასულ წელს საბჭოთა ქარხნებში. შვიდწლედის დამამთავრებელ წელს ფოლადის მილების წარმოება კვლავ ცხრა პროცენტით გადიდდება.

11 იანვარს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლეგიამ განიხილა მრეწველობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის შემდგომი განვითარების საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კუთხვილი მილების წარმოების გეგმის შესრულებას ასეთი მილები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სჭირდებათ მენავთობეებსა და გაზის ინდუსტრიის მუშაკებს. ამასთან დაკავშირებით დაასახელეს აზერბაიჯანის ქარხანა, სადაც მომდინარე წელს კუთხვილი მილების წარმოება 76 პროცენტით გადიდდება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ 15 თებერვლისათვის უნდა დაამთავროს ამ საწარმოსათვის ორმოცი სპეციალური ჩარხის მიწოდება.

დასახულია 1965-1968 წლებში გადიდდეს მილების წარმოება თითქმის სამი ძირითი ტონით. კოლეგიამ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და ეკონომიურ რაიონებს ოპერატიულად, მაღალ ტექნიკურ დონეზე გადაწყვიტონ ყველა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მილის ქარხნების სიმძლავრეთა გაზრდასთან. (საკდესი).

ჩვენს დროს
სამგზავრო

მოსკოველთა და ლენინგრადელთა თათბირზე — მოძმეებაში

კარგი ხარისხი დროის მოთხოვნაა

იმსჯელეს, გაიაზეს

ახალი წლის პირველ დღეებში თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში საგმიანი მსჯელობა გაიმართა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმ შესანიშნავი ინიციატივის საპასუხოდ, რომელიც მოსკოვისა და ლენინგრადის 38 საწარმომ წამოიწყო. საუბრის პირველი თემა იყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება მსოფლიო სტანდარტების დონემდე. კომბინატის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობა და გადაწყვიტა:

უახლოესი 3-4 წლის მანძილზე მიაღწიოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას იმ დონემდე, რომ იგი გაუტოლდეს ამ სახის პროდუქციის მსოფლიო სტანდარტების საუკეთესო ნიმუშებს. ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ტექნიკური დონის ამაღლების მიზნით კამვოლური ნართის დართვის ძველი სისტემა შეიცვალოს ახლით, უფრო პროგრესულით.

მოსკოვის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროსთან შემოქმედებითი ურთიერთობით მაუდის ნართის წარმოებაში დანერგოს ნაკადური ხაზი, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად დიდად აამაღლებს პროდუქციის ხარისხს.

როგორც ცნობილია, ნატახტარის წყლის მარილები აუარესებს პროდუქციის შეღებვის ხარისხს. ამიტომ სამღებრო წარმოებაში გამოიყენებენ გამარილებელ წყალს, რისთვისაც წელს აამუშავებენ სპეციალურ სადგურს.

თბილისის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროსთან მჭიდრო ურთიერთობით 1965-67 წლებში უნდა მოეწყოს და ითვისოთ ბოჭკოს ნარევებისა და ნაბეჭდების ახალი ტიპები, ფეხსაცმლის ტყავის ასორტიმენტი, ტანსაცმლის ნაკეთობა, ტანსაცმელ-ნაქარგი ნაწარმი, ფეხსაცმელ-ნაქარგი ნაწარმი

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაციის მდივნის გამოცდილებიდან

კომუნისტთა ღირებული

ასუბუქი ავტომანქანა ღონივრად კეცავს ახალ გზას, რომელიც არხის ნაპირებს მიუყვება. არხი მდინარე ივრის ლურჯ ტალღებს თბილისის ზღვისაკენ მიაქანებს. თანდათან ღრმად შეედავართ ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის განლაგებაში.

მეურნეობის დირექტორი ი. კავილაძე აგროუბნების ხელმძღვანელებთან საუბრობდა...

— პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის ნახვა გვინდა, — ვეუბნებით დირექტორს.

— თავის უბანშია სამუშაოდ. მართალია, დღეს ამინდი არ ვარგა, მაგრამ ჩვენები მაინც არ წყვეტენ შრომას, ვაზის მწკრივების გამობარვაზე მუშაობენ; ჩვენი პარტიბიუროს მდივანიც ამ საქმეს დასტრიალებს თავს.

აი მეურნეობის მეორე უბანში ვართ.

— ეს პარტბიუროს მდივნის ზოია ტაბატაძის ვენახებია, — გვეუბნებიან. აქ ეს-ეს არის მიწყდა მოტორების გუგუნი, ტრაქტორები „სამკურნალოდ“ წასულან, რაკი დაუმთავრებიათ სავენახე ნიადაგების ხვნა და სასუქების შეტანა. ახლა კი 55 მუშას ბარი აუღია და მწკრივთაშორისებს ბარავს.

შრომის ფერხულში გავიცანით პარტბიუროს მდივანი ზოია ტაბატაძე. სპეტაკნსაცმლიანი იგი მტკიცე ნაბიჯით დადიოდა ვაზთა რიგებში. სამუშაო კარგად მიდის, და მის სახეს კმაყოფილების ღიმი დასთამაშებს. მაგრამ 61 მევენახე კომუნისტის მეთაურს მარტო თავისი ბრიგადის ბედი როდი აწუხებს! დღეს მეურნეობის ყველა კომუნისტი დამკვრელურ ფრონტზეა გამოსული და მათი შრომა აინტერესებს.

დილიდანვე კომუნისტთა ერთი ნაწილი ახალი ვენახის გაშენებაზე გაგზავნეს, მეორენი სახელოსნოში წავიდნენ ტრაქტორების რემონტის დასაჩქარებლად, მესამენი სამშენებლო ხარაჩოებზე შედგნენ. ვინ მოსთვლის, კიდევ რა სამუშაოს არ ასრულებენ კომუნისტები! თვალყური ყველა მათგანთან უნდა მიგიწვდებოდეს.

ვუყურებთ შრომაში მთელი გატაცებით გართულ ზოიას და მისი ცხოვრების ზოგიერთი ფურცელი გვაგონდება, აქ მოსვლამდე რომ ამბანაგებმა გაგვაცნეს.

ზ. ტაბატაძემ როგორც კი საშუალო სკოლა დაამთავრა, გადაწყვიტა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლესი განათლება მიეღო, გამხდარიყო მევენახე აგრონომი და ფიზიკურად დაიწყო მუშაობა დიღმის საბჭოთა მეურნეობაში. 1962 წლის დეკემბერში კი იგი უკვე აგრონომად დიპლომით მოვიდა ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ზ. ტაბატაძე.

• • •

საუკეთესო მშრომელი და მოსწავლე გოგონა დიღმელმა ახალგაზრდებმა კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს და ამ პოსტზე ხუთი წელი დაპყო. ზოიამ აქ შეიძინა კომკავშირული მუშაობის გამოცდილება. ნაყოფიერი შრომისათვის აქვე დაიმსახურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

ბევრი კარგი საქმე ახსოვთ დიღმელებს ზოიას მიერ მოფიქრებული და გაკეთებული. აი ერთი მათგანი: მევენახეთა რგოლზე მოსავლელად მიჩენილ 4 ჰექტარ შასლას ჭიშის უურძენს მოულოდნელად შეატყეს, რომ შავი სიდამპლე შეეპარა. კარსმომდგარი მოსავალი დასაღუპავად იყო განწირული.

კომკავშირელთა წინამძღოლს ბევრი არ უფიქრია. ასეთ დროს ცდა არაფრის მაქნისია, საჭიროა გაბედულად მოქმედებაო, და ახალგაზრდებს მოეთათბირა. მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი და დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს: დააყენეს ბორდოს ორპროცენტიანი ხსნარი და ზურგის აპარატებით გულმოდგინედ შეასხურეს მტევნებს. მალე გაქრა შავი სიდამპლე. იმ წელს ყურძნის კარგი მოსავალიც მიიღეს.

ერთობაში გულფიცხი ქალიშვილი სიტყვაძუნწი გამოდგა! ერიდება თავის წარმატებებზე საუბარს. ალბათ ეს მოწონავე ადამიანთა საერთო ხასიათია.

როგორც იყო საუბარი დაიწყო.

— ჩვენი ბრიგადის ზვრებს 53 ჰექტარი უჭირავს, — გვამცნობს ზოია, — 1964 წელს დიდი მუშაობა დაგვჭირდა წინა წლის ზარალის ასანაზღაურებლად, იმისათვის, რომ ვაზი გაგვეჯანმრთელებინა თვალსაჩინო ღონისძიებებს ატარებენ იმისათვის, რომ ომისა და შრომის ინვალიდებს შეასწავლონ ახალი პროფესიები, მოაწყონ ისინი შესაფერის სამუშაოზე და შეუქმნან მათ შრომის ნორმალური პირობები. სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასწავლო საწარმოებში ყოველწლიურად ახალ პროფესიებს ეუფლება 300-მდე ინვალიდი. ყველა ისინი უზრუნველყოფილი არიან სამუშაოთი.

ამ მხრივ საგრძნობ ღონისძიებებს ახორციელებს აგრეთვე საქართველოს უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოება. ამ საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყებებში ყოველწლიურად ასობით უსინათლო და ყრუ-მუნჯი ეუფლება პროფესიას და ებმება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ფერხულში.

საქართველოს უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოება არა მარტო ხელობას ასწავლის და სამუშაოზე აწყობს უსინათლოებსა და ყრუ-მუნჯებს, მათ შორის ომისა და შრომის ინვალიდებს, არამედ ეწევა სერიოზულ პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობასაც, საგრძნობ მატერიალურ დახმარებას უწევს თავის წევრებს. მარტო გასულ წელს ამ საზოგადოების ხარჯზე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დასვენება 900-მდე უსინათლომ და ყრუ-მუნჯმა, ხოლო ერთდროული ფულადი დახმარება გაეწია 1.627 წევრს 44.420 მანეთის რაოდენობით.

უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას აქვს დასასვენებელი სახლები კურორტ ციხისძირსა და ბახმაროში. უკანასკნელი 4 წლის მანძილზე ინვალიდებისათვის ააშენეს 7 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ამჟამად აშენებენ 6 ათას კვადრატულ მეტრზე მეტს.

რესპუბლიკის ყოველი მეცამეტე მოქალაქე სახელმწიფო პენსიას იღებს, ხოლო ყოველი მეათე მოქალაქე სარგებლობს სოციალური უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეობით. ყოველივე ეს დადებით გავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე. აი თვალსაჩინო მაგალითი. თუ 1926-27 წლებში ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საბჭოთა კავშირში 45 წელს არ აღემატებოდა, 1963 წლისათვის 70 წლამდე მიაღწია.

დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა ახალი კანონი კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1964 წლის 15 ივლისს.

ცნობილია, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებობს კანონი სოფლის მშრომელთა — გლეხობის საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. აქაც პირველად საბჭოთა კავშირმა თქვა თავისი დამაჯერებელი სიტყვა.

კანონი კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტია. იგი ძალაში შევიდა 1965 წლის 1 იანვრიდან. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საქმეს. შეიქმნა სოციალისტური მინდვრების მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის ერთიანი, მტკიცე სისტემა. ამიერიდან ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობაში მოხუცებულთა და შრომისუნარმოკლებულთა მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი გადაწყდება კანონით დადგენილი ერთიანი პრინციპების, ერთიანი ნორმების საფუძველზე.

როგორც ცნობილია, კანონი ითვალისწინებს ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შექმნას. იგი შეიქმნება კოლმეურნეობათა შენატანებისა და სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურად ასიგნებული სახსრებისაგან. თვით კოლმეურნეები კი არაფერს არ იხდიან სოციალური უზრუნველყოფის ფონდის შესაქმნელად.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ამ ახალი კანონის საფუძველზე ამა წლის იანვრიდან **ჩვენი რესპუბლიკის 220 ათასზე მეტი კოლმეურნე უზრუნველყოფილი იქნება პენსიით,** ხოლო კოლმეურნე ქალთა თვალსაჩინო რაოდენობა მიიღებს დახმარებას ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების პერიოდში, რაც 112 კალენდარულ დღეს შეადგენს. ამგვარად, საკოლმეურნეო მინდვრების ყველა კეთილსინდისიერი მუშაკი, რომელაც საპენსიო ასაკს მიაღწია, აგრეთვე კოლმეურნენი, რომლებმაც რაიმე მიზეზით დაკარგეს შრომის უნარი, უზრუნველყოფილი იქნებიან მატერიალურად.

ა ხალი კანონით პენსიის მიღების უფლება ენიჭება ყველა კოლმეურნეს, რომელსაც 65 წელი შეუსრულდა და კოლმეურნე ქალს, რომელსაც 60 წელი შეუსრულდა და აქვს კოლმეურნეობაში მუშაობის 20 წლის სტაჟი. მაგრამ უფრო შეღავათიან პირობებში ენიშნებათ პენსია იმ კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც შობეს ხუთი და მეტი შვილი და აღზარდეს ისინი რვა წლის ასაკამდე. ამ შემთხვევაში კოლმეურნე ქალს პენსია შეიძლება დაენიშნოს 55 წლის ასაკის მიღწევისას, თუ მას კოლმეურნეობაში მუშაობის სულ მცირე 15 წლის სტაჟი აქვს.

იმისათვის, რომ პენსია სწორად ასახავდეს კოლმეურნის შემოსავლის დონეს, კანონი ითვალისწინებს იმას, რომ პენსიის გამოსაანგარიშებლად აღებულ იქნას საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავება ზედიზედ რომელიმე 5 წლისა უკანასკნელი 15 წლიდან.

ჟ ქ შეიძლება თავი იჩინოს ზოგიერთმა სიძნელემ. ცნობილია, რომ ბევრ კოლმეურნეობაში არა აქვთ ზუსტი მონაცემები კოლმეურნეების გამომუშავებაზე უკანასკნელ წლებში. ასეთ შემთხვევაში, ბუღალტერიის ცოდნა-გამოცდილებიანი ადამიანები, ბუღალტერ-ეკონომისტები, ეხმარებიან კოლმეურნეებს ამ საქმეში. ამგვარად, ბუღალტერ კოლმეურნეს შეუძლია გულმოდგინე შრომით პენსია გაზარდოს მაქსიმალურ ოდენობამდე — 102 მანეთამდე.

ამჟამად სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები მთელი ენერგიით მუშაობენ კოლმეურნეთა პენსიების შესახებ კანონის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია. დებულებები კოლმეურნეობის წევრთათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ, აგრეთვე აღრიცხვის ყველა წიგნი, ფორმები და დოკუმენტები, რაც საჭიროა პენსიების დანიშვნის გასაფორმებლად, უკვე დამზადებულია, დაბეჭდა და დაიგზავნა ადგილებზე.

მოეწყო სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელსაც დაესწრო აგრეთვე კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების ზოგიერთი თავმჯდომარე. თათბირ-სემინარზე დაწერილებით იქნა განმარტებული მომავალი მუშაობის პრაქტიკული საკითხები, სათანადო რეგა-დარიგება მიეცათ სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ მუშაკებს. გარდა ამისა, გაიმართა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებების მუშაკთა ერთთვიანი კურსები.

სამინისტროს მუშაკები მივლინებული იყვნენ რაიონებში ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

ამგვარად, პრაქტიკულად ხორციელდება ისტორიაში პირველი კანონი სოფლის მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. სამინისტროს მოსდის ცნობები პირველ კოლმეურნე პენსიონერებზე. მაგალითად, სამხრეთ ოსეთიდან გვატყობინებენ: ზნაურის რაიონის სოფელ თიღვის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს **გიორგი ზაქარიას-ძე ლაცაბიძეს** კოლმეურნეობაში მუშაობის საკმაო სტაჟი აქვს, მაგრამ არ აღმოჩნდა უკანასკნელი წლების გამომუშავების დამადასტურებელი ცნობები, ამიტომ მას დაენიშნა **მოხუცებულობის პენსია მინიმალური ოდენობით — 12 მანეთი.**

ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის წევრს **თადეონ ილარიონის-ძე ბარქაიას** კოლმეურნეობაში მუშაობის 33 წლის სტაჟი აქვს. მას უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო გამომუშავების შესაბამისად **დაენიშნა მოხუცებულობის პენსია 34 მანეთი.** კიდევ უფრო მეტი გამომუშავება აღმოაჩინა ამავე კოლმეურნეობის წევრს **ავრაფინა პორფირეს ასულ სანიკიძეს,** რომელსაც **დაენიშნა პენსია 54 მანეთი თვეში.**

გუდაუთის რაიონიდან გვაცნობეს, რომ კოლმეურნეობა დურიფშის წევრს **ფაგუ არსალიას,** რომელიც კეთილსინდისიერად შრომობდა კოლმეურნეობაში და ჰქონდა მაღალი გამომუშავება, **დაენიშნა მოხუცებულობის პენსია 60 მანეთისა და 21 კაპიკის ოდენობით.** მის მეუღლეს **ქსენია არსალიას,** რომელიც ერთგულად ედგა მას მხარში საკოლმეურნეო შრომაში, აგრეთვე დაენიშნა მოხუცებულობის **პენსია 48 მანეთის** ოდენობით.

კიდევ უფრო სასიხარულო ამბავი მოვიდა მახარაძის რაიონიდან. აქ წერილებით მიმდინარეობს ამაგდარი ხანდაზმული კოლმეურნეებისათვის პენსიების დანიშვნა. აი საკოლმეურნეო შრომის ერთ-ერთი veტერანი, სოფელ დეკაბუს ოქანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ელპიტე ალექსანდრეს ასული გოლოძე.** იგი დაბადებულია 1886 წელს, კოლმეურნეობის წევრია დღიდან მისი დაარსებისა. მას კოლმეურნეობაში მუშაობის 34 წლის სტაჟი აქვს. 1960–1964 წლებში გ. გოლოძემ გამოიმუშავა 21.281 მანეთი. მისი საშუალო თვიური გამომუშავება უკანასკნელი 5 წლის მანძილზე შეადგენდა 354 მანეთს და 17 კაპიკს. **ელპიტე გოლოძეს დაენიშნა მოხუცებულობის პენსია თვეში 101 მანეთისა და 17 კაპიკის** ოდენობით.

გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი **გიორგი გაბიტაშვილი** 84 წლის მოხუცია. მაგრამ მას კარგი გამომუშავება აქვს. ამიტომ მას **დაენიშნა პენსია 29 მანეთისა და 57 კაპიკის ოდენობით.**

უეჭველია, კოლმეურნეობის წევრების პენსიათა და დახმარებათა შესახებ ისტორიული კანონის პრაქტიკულად განხორციელება ახალ მძლავრ სტიმულს მისცემს სოციალისტური მინდვრების მშრომელებს, დიდად გაზრდის მათს დაინტერესებას და ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წარმოების ახალ აღმავლობას.

სოციალისტური ეკონომიკა

ახალი ეტაპი

ეროვნული ეკონომიკური სისტემა

ეროვნული ეკონომიკური სისტემა

**ეროვნული ეკონომიკური სისტემა

მსოფლიო ამ დღეებში

პრეზიდენტ ჯონსონის წერილი

ვაშინგტონი, 12 იანვარი. (საკდესი). პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გაუგზავნა წერილი განათლების საკითხებზე. წერილი ეხება დღევანდელი ამერიკის დიდ სოციალურ პრობლემას. მრავალ ათას ამერიკელს საკმაო სახსრები არ გააჩნია, რომ ელემენტარული განათლებაც კი მიიღოს. ხოლო განათლების უქონლობის გამო მათი ხელფრია ხიღტაკე, უმუშევრობა, დაბალი ხელფასი, ჯურღმულებში ყოფნა, უმიდო ცხოვრება.

წერილში აღნიშნულია, რომ ყოველი მესამე მოსწავლე, რომელიც ამჟამად მეხუთე კლასშია, ტოვებს სკოლას. თუ არაფერი ვიღონეთ, ერთ მილიონამდე მოსწავლე ყოველწლიურად დატოვებს სწავლასო.

ჯონსონი წერილში ამბობს, რომ უმუშევრობა ახალგაზრდა ამერიკელებში, რომლებსაც რვა კლასი დაუმთავრებიათ, ერთიოროსად აღემატება საერთო დონეს სახელმწიფოში.

პრეზიდენტი ეროვნულ ამოცანად სახავს, რომ ყველას ექნეს განათლების მიღების შესაძლებლობა.

პრეზიდენტის წერილი შეიცავს წინადადებას გამოიყოს სახსრები სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შესაძენად. რადგან ამერიკის საზოგადოებრივი სკოლების თითქმის 70 პროცენტს, რომლებშიც სწავლობს ამერიკელ ბავშვთა მეტი ნაწილი, არა აქვს ბიბლიოთეკები.

ჯონსონი ითვალისწინებს ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესების მთელ რიგ ღონისძიებებს. ამასთან იგი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ყოველ წელს 100.000 ახალგაზრდა ამერიკელი ვერ შედის კოლეჯში, რადგან არ გააჩნიათ სახსრები. მრავალი ათასი სტუდენტი — მცირეშემოსავლიანი ოჯახების შვილები — იძულებულია ვალებში ჩაეფლოს, რომ სწავლის ფული გადაიხადოს. სტუდენტმა უნდა გადაიხადოს წელიწადში 2.400 დოლარი კერძო კოლეჯში სწავლისათვის და დაახლოებით 1.600 დოლარი — საზოგადოებრივ კოლეჯში სწავლისათვის. კოლეჯებში სწავლის ქირა, ნათქვამია პრეზიდენტის წერილში, შემდგომ ათ წელიწადში შეიძლება კიდევ მესამედით გადიდდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლების გაუმჯობესების საქმე დაახასიათა როგორც „ნომერი პირველი ამოცანა ამერიკელი ხალხისა“.

ᲐᲠᲩᲘᲔᲡ...

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 11 იანვარი. (საკდესი). გასული კვირის მარტო უკანასკნელ სამ დღეში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დასავლეთ გერმანიიდან 124 კაცი და დასავლეთ ბერლინიდან 26 კაცი გადმოსახლდა. ამას იუწყება ადნის საგენტო. გადმოსახლებულთა შორის ბევრია კვალიფიციური მუშა და ახალგაზრდა.

ᲛᲔᲙᲝᲑᲠᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). ინგლისის სამხედრო-საზღვაო ავიამზიდი „იგლი“, რომლის წყალწყვა 36.800 ტონაა, დღეს შევიდა მალაკის სრუტეში, რომელიც ყოფს მალაზიასა და ინდონეზიას, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი კუალა-ლუმპურიდან.

ᲞᲠᲝᲒᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 11 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი მ. პანშინი იუწყება:

დღეს აქ სამი დღით ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ერჰარდი. იგი აპირებს მოაწყოს აქ ბონის მთავრობის მინისტრთა თათბირი. დასავლეთ ბერლინში ერჰარდის ყოფნის პროგრამაში შედის აგრეთვე გამოსვლა დასავლეთ გერმანიის მმართველი პარტიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მომხრეთა მიტინგზე. ბონის პოლიტიკოსთა პროვოკაციულ გამოხდომაში მონაწილეობას მიიღებენ ბუნდესტაგის ყველა დეპუტატი და თითქმის ყველა ბონელი მინისტრი. მათ განზრახული აქვთ მოაწყონ აქ, როგორც პრესა იუწყება, ოთხმოცზე მეტი სხვადასხვა სხდომა. მოწყობილია ბუნდესტაგის პოლიტიკური პარტიების სამივე ფრაქციის სხდომა და პარლამენტის ოცდაშვიდი კომისიის, მათ შორის თავდაცვის საკითხთა და საგარეო საქმეთა კომისიების სხდომები.

ბონის პარლამენტართა სხდომები დემონსტრაციულად მოეწყობა გერმანიის ყოფილი რაიხსტაგის შენობის აღდგენილ ნაწილში, რომელიც უშუალოდ დასავლეთ ბერლინისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საზღვარზე მდებარეობს.

ბონის ხელმძღვანელები ცდილობენ ამ პროვოკაციული წამოწყებით დაამტკიცონ, თითქოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას უფლება ჰქონდეს დასავლეთ ბერლინის მიმართ, რომელიც, როგორც ცნობილია, დასავლეთ გერმანიაში არ შედის.

ᲓᲝᲙᲔᲠᲛᲒᲘᲡ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). გუშინ დაიწყო 60 ათასი დოკერის გაფიცვა. ამის შედეგად დასატვირთ-გადმოსატვირთი სამუშაოები შეწყდა ატლანტიკისა და მექსიკის ყურის მთელ სანაპიროზე. ნავსადგურებში უკვე ასი გემოუტვირთავი გემი დგას, მათ შორის 55 გემი ნიუ-იორკის ნავსადგურში.

დოკერებმა უარყვეს შრომითი კონტრაქტი, რომელიც მათ შესთავაზეს. ეს კონტრაქტი ითვალისწინებს ერთიორად გადიდდეს ხელფასის ანარიცხები პროფკავშირული შენატანებისათვის, აგრეთვე კომპანიის მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გადმომტვირთავთა ჯგუფების რიცხვის შემცირება. ეს კონტრაქტი შეიმუშავეს კომპანიის წარმომადგენლებმა პროფკავშირის ლიდერებთან შეთანხმებით. ძველი შრომითი კონტრაქტის ვადა 30 სექტემბერს ამოიწურა, და მეორე დღეს დოკერებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

მაგრამ მათ წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გამოიყენეს ტაფტ-ჰარტლის კანონი, რომელიც ითვალისწინებს გაფიცვის გადადებას 80 დღით — ეგრეთწოდებული „დაცხრობის პერიოდით“. ამ ვადის დამთავრების შემდეგ პროფკავშირის ლიდერებმა კიდევ 20 დღით გადადეს გაფიცვა.

ᲣᲤᲠᲐᲓᲡᲐᲚᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 12 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი Ვ. ᲞᲐᲜᲘᲜᲘᲡ იუწყება: პრეზიდენტის არჩევნების დროს — 1964 წლის 3 ნოემბერს ამერიკის რეაქციის ლიდერმა სენატორმა ბ. გოლდუოტერმა სასტიკი დამარცხება განიცადა. დემოკრატიული პარტიის კანდიდატ[illegible] [illegible] მილიონმა კაცმა, ანუ კენჭისყრის ყველა მონაწილის 61 პროცენტზე [illegible] დენტისათვის მიცემული ხმის ყველაზე დიდი პროცენტია [illegible] ისტორიის მანძილზე. გოლდუოტერი დამარცხდ[illegible] [illegible] ოლქში. არჩევნების შედეგად აირჩევა 538 ხმიდან გოლდუოტერმა მიიღო მხოლოდ 52.

ამრიგად, ამერიკელმა ხალხმა სავსებით გარკვეულად უარყო აგრესიული პოლიტიკის მქადაგებელი და რეაქციონერი საშინაო პოლიტიკაში. ამავე დროს, არჩევნების შედეგების შესახებ ოფიციალური მონაცემების თანახმად, გოლდუოტერს ხმა მისცა 27,1 მილიონზე მეტმა კაცმა. ამ სამაბით ულტრამემარჯვენეთა დამარცხებული ლიდერი და მისი დამქაშნი, რომელთაც არ სურთ დატოვონ პოლიტიკური ასპარეზი, პრეტენზიას აცხადებენ, რომ ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის წარმომადგენელნი არიან.

ამერიკის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცნობილი სპეციალისტი ლ. ჰარისი ამომრჩევლებში, რომლებმაც ხმა მისცეს გოლდუოტერს, მხოლოდ 6 მილიონი კაცია გოლდუოტერისა და მისი შეხედულებების ერთგული და მტკიცე მომხრე 18 მილიონმა კაცმა გოლდუოტერს ხმა მისცა უმთავრესად რესპუბლიკური პარტიისადმი ლოიალობის მოსაზრებებით, თუმცა არ ეთანხმებიდნენ მას მთელ რიგ საკითხებში. სამი მილიონი ხმა — აქედან ორი მილიონი სამხრეთის შტატებში — გოლდუოტერს მისცეს ფამილტემმა.

ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲒᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ: ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ — 1964 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ Ბ. �გᲝᲚᲓᲣᲝᲢᲔᲠᲛᲐ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲐ. ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ [illegible] ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ, ᲐᲮᲝ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ 64 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ [illegible] ᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲛᲣᲚᲘ ᲮᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ [illegible] ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲒᲝᲚᲓᲣᲝᲢᲔᲠᲘ [illegible] ᲝᲚᲥᲨᲘ. ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲐᲛᲠᲩᲔᲕᲘᲡ 538 ᲮᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲝᲚᲓᲣᲝᲢᲔᲠᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 52.

ᲐᲛᲠᲘ�გᲐᲓ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲐᲓ ᲣᲐᲠᲧᲝ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘᲡᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲥᲐᲓᲐᲒᲐᲛᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲨᲘᲜᲐᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲒᲝᲚᲓᲣᲝᲢᲔᲠᲡ ᲮᲛᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ 27,1 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲑᲐᲑᲘᲗ ᲣᲚᲢᲠᲐᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲥᲐᲨᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲗ ᲓᲐᲢᲝᲕᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ, ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲔᲚᲜᲘ ᲐᲠᲐᲜᲘ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ Ლ. ᲰᲐᲠᲘᲡᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲮᲛᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲒᲝᲚᲓᲣᲝᲢᲔᲠᲡ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 6 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ ᲒᲝᲚᲓᲣᲝᲢᲔᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲮᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲚᲘ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲚᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲥᲪᲔᲒᲡ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲚᲘᲡ 100.000 ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲯᲨᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐᲗ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ — ᲛᲪᲘᲠᲔᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲕᲚᲔᲑᲘ — ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲤᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐᲗ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲚᲘ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲚᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲛᲘᲗᲝᲛ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜ



ᲛᲝᲜᲐᲖᲚᲘᲣᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲒᲐᲨᲘ



ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲛᲝᲗᲐᲡᲤᲐᲚᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲓᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪᲐᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲭᲝᲜᲒᲝᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ.
(ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲒᲐ

▲ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ — ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲚᲝᲜᲘ „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ“. ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲔᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲙᲠᲝᲜᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ — ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲡ.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲓ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚ ᲕᲠᲪᲔᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲠᲝᲛᲝᲠᲘᲪ ᲥᲐᲚᲗᲐ, ᲘᲡᲔ ᲛᲐᲛᲐᲯᲘᲪᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡ 500-ᲜᲘᲛᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲛᲐᲢᲔᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ.

▲ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲝᲠᲗᲥᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲠᲘᲒᲘ. ᲮᲣᲗᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲣᲕᲔᲚᲐ ᲩᲐᲘᲠᲗᲝ ᲒᲐᲗᲑᲝᲑᲘᲡ ᲥᲣᲚᲔᲑᲨᲘ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲘᲒᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲠᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲛᲐᲦᲘ „ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲘ“.

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲗᲝᲜᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲯᲐᲚᲔᲑᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲙᲕᲔᲨᲘ ᲙᲐᲠᲡᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲐᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲛᲐᲡ ᲡᲐᲚᲔᲝᲚᲝᲜᲔᲚᲒᲘᲡᲔᲑᲘ ᲔᲣᲬᲝᲓᲜᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲗᲐ“. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲗᲐ“. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲘᲪᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲠᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲛᲐᲦᲘ „ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲘ“.

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲛᲘᲗ

● Ქ. ᲞᲘᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲐᲛ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 500 ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ I-VI ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲛᲐ.

Მ. ᲩᲐᲮᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

● ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ, ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲯᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲛᲐ Მ. ᲞᲘᲐᲡᲔᲪᲘᲛ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲗᲐᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲛᲐ Ჯ. ᲯᲐᲤᲐᲠᲝᲕᲛᲐ (ᲑᲐᲥᲝ), ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲛᲐ Ვ. ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲛ, ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲚᲛᲐ Გ. ᲒᲔᲝᲓᲐᲙᲘᲐᲜᲛᲐ (ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ), ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲗᲐᲛᲪᲝᲓᲜᲔᲚᲛᲐ Ე. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ Ჯ. ᲡᲐᲤᲐᲠᲝᲕᲛᲐ, ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲐᲠᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ Გ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Დ. ᲐᲜᲗᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲘᲜᲝᲠᲘᲜᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲘ ᲥᲚᲐᲠᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ, ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ, ᲐᲛ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲡᲪᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲧᲐᲜᲘᲐᲖᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲧᲐᲜᲘᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲖᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ